



თებერვალი 2017

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

# ექსპერტთა გამოკითხვა

გამოცემა №3

## „ქართული ოცნების მმართველობის პირველი 100 დღე“ რეაქციის შეფასება ექსპერტების მიერ


აღნიშნული გამოკითხვა წარმოადგენს „ქართული ოცნების მმართველობის პირველი 100 დღის“ ანგარიშის“ ნაწილს. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა გამოკითხვა 30 ქართველი და უცხოელი ექსპერტი ანგარიშში განხილული საკითხების შესახებ. გამოკითხვისათვის რესპონდენტთა შერჩევა მოხდა, უპირველეს ყოვლისა, მათი საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართულობის კრიტერიუმზე დაყრდნობით. კითხვარი შედგენილია 100 დღის ანგარიშის მიხედვით და ოთხ ძირითად ნაწილს მოიცავს: ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა და ადამიანის უფლებები.

გამოკითხვის შედეგები, მსგავსად 100 დღის ანგარიშისა, შერეულ და კომპლექსურ სურათს იძლევა. ექსპერტები ყველაზე დადებითად ქართული ოცნების საგარეო პოლიტიკას აფასებენ (გრ.9), ხოლო ყველაზე უარყოფითად - დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს (გრ.10-11). საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ექსპერტთა უმრავლესობა, განვილილ 100 დღეზე დაყრდნობით, არ ენდობა ქართული ოცნების მთავრობას, რომ იგი უფრო დემოკრატიულ კონსტიტუციას მიიღებს (გრ.12). ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკა (გრ. 2) და ლარიზაციის პაკეტი (გრ. 5) ასევე უარყოფითად ფასდება, თუმცა ექსპერტებს შედარებით გაწონასწორებული დამოკიდებული აქვთ სხვა ეკონომიკური ინიციატივების მიმართ. ესტონური საგადასახადო რეფორმის მოდელი და მთავრობის მიერ დაგეგმილი ეკონომიკური რეფორმები მეტნაკლებად ნეიტრალურად ფასდება (გრ. 3-4). ექსპერტები ასევე ნეიტრალურად აფასებენ სოციალური პოლიტიკის სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს და სოციალურ სფეროში დაგეგმილ რეფორმებს (გრ. 6-7). თუმცა ექსპერტთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს ქართული

ოცნების მთავარი სოციალური რეფორმის - უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის გრძელვადიანი მდგრადობის პერსპექტივას (გვ. 8).

ზოგადი შეფასების მხრივ, ექსპერტების უმრავლესობა ქართული ოცნების მთავრობის მუშაობას პირველი ასი დღის განმავლობაში ნეიტრალურად ან უარყოფითად აფასებს (გრ.1). უმრავლესობა გამოკითხული რესპონდენტებისა მთავრობის მუშაობას


**Q 1: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ ახალი მთავრობის მუშაობას პირველი ასი დღის განმავლობაში (2016 წლის ნოემბრიდან-2017 წლის იანვრამდე)?**




თბალიან სკალაზე ხუთი ან ოთხი ბალით აფასებს. აღსანიშნავია, რომ შედარებით დადებით (5 ბალზე მაღალ) შეფასებას მთავრობას გამოკითხულ ექსპერტთა მხოლოდ 21% აძლევს (გრ.1).

ეკონომიკის ნაწილში, გამოკითხული ექსპერტების უმრავლესობა მეტწილად უარყოფითად აფასებს ქართული ოცნების მიერ პირველი ასი დღის განმავლობაში გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას. გამოკითხულთა უმრავლესობა 10 ბალიან სკალაზე 5 ბალამდე შეფასებით შემოიფარგლება (გრ. 2). ექსპერტები უარყოფითად აფასებენ აგრეთვე ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ნაწილს, თუმცა ამ შემთხვევაში შეფასებები უფრო დაბალანსებულია და გამოკითხულთა ნაწილის ქართული ოცნების ეკონომიკურ პროგრისთვის არც მაღალ ქულებს იშურებს (გრ. 3). როგორც ჩანს, დაგეგმილი რეფორმების იმპლემენტაცია ექსპერტების თვალსაზრისით ახალი მთავრობის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

**Q 2: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ ახალი მთავრობის მუშაობას პირველი ასი დღის განმავლობაში (2016 წლის ნოემბრიდან-2017 წლის იანვრამდე) ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით (საგადასახადო რეფორმა, უმუშევრობა, ლარიზაციის პოლიტიკა)?**




Q 3: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეფასებთ ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ნაწილს (200 000 სამუშაო ადგილი, საგადასახადო რეფორმა, 3,5 მილიარდი დოლარის ინვესტირება გზების მშენებლობაში, ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ენერჯეტიკაში)?




ეკონომიკურ ნაწილში, ყველაზე დადებით შეფასებას ექსპერტები ესტონური მოდელის ახალ საგადასახადო მოდელს უწერენ (გრ. 4). მთავრობის ახალ საგადასახადო ინიციატივასთან მიმართებაში, გამოკითხულთა აზრი თითქმის თანაბრად იყოფა, და ერთადერთი საკითხია, რომელსაც რამდენიმე რესპონდენტი უმაღლეს, 10-ქულიან შეფასებას აძლევს. მეორეს მხრივ, როგორც მოსალოდნელი იყო, კრიტიკას ვერ უძლებს ლარიზაციის პოლიტიკა, რომელსაც ექსპერტთა დიდი უმრავლესობა 5-ბალზე ნაკლებით აფასებს (გრ. 5).

Q 4: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეფასებთ ესტონურ საგადასახადო მოდელს, რომელიც ქართულმა ოცნებამ 2017 წლის პირველ იანვარს წარადგინა?




Q5: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეფასებთ ლარიზაციის პოლიტიკას?




ექსპერტები შედარებით უფრო ნეიტრალურად აფასებენ მთავრობის სოციალურ პოლიტიკას პირველი ასი დღის განმავლობაში, თუმცა საბოლოო ჯამში, აქაც უარყოფითი განწყობები ჭარბობს (გრ. 6). გამოკითხულთა უმრავლესობა, ახალი მთავრობის პირველ სოციალურ ნაბიჯებს ოთხ და ხუთბალიან შეფასებას აძლევს. საინტერესოდ იყოფა ხმები სოციალურ პოლიტიკაში ქართული ოცნების კონკრეტულ ინიციატივებთან დაკავშირებით. მაგალითად, ექსპერტები მეტწილად ნეიტრალურად აფასებენ ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის სოციალურ ნაწილს (გრ. 7), თუმცა ძალზე სკეპტიკურად არიან განწყობილი ოცნების მთავარი სამარკო რეფორმის - უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის გრძელვადიან მდგრადობასთან დაკავშირებით, რომელსაც სწრაფი და სტაბილური ეკონომიკური ზრდა სჭირდება (გრ. 8).


**Q 6: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ ახალი მთავრობის მუშაობას პირველი ასი დღის განმავლობაში (2016 წლის ნოემბრიდან-2017 წლის იანვრამდე) სოციალური პოლიტიკის მიმართულებით (ჯანდაცვა, პენსიები, საგანმანათლებლო რეფორმა)?**



**Q 7: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ ქართული ოცნების მთავრობის სოციალურ პროგრამას (საყოველთაო ჯანდაცვა, მასწავლებლების ხელფასების ზრდა, დაგროვებითი საპენსიო სისტემა)?**




**Q8: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ საყოველთაო ჯანდაცვის (ქართული ოცნების ნიშას) ხანგრძლივი ვადით მდგრადობას ?**



ყველაზე დადებითად, გამოკითხული ექსპერტები, ქართული ოცნების ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკას ასახელებენ. საგარეო პოლიტიკა ფაქტიურად ერთადერთი სფეროა, სადაც გამოკითხულთა პასუხებში დადებითი შეფასება ერთმნიშვნელოვნად სჭარბობს ნეგატიურ შეფასებებს (გრ. 9). როგორც ჩანს, პოლიტიკურ მიმომხილველთა უმრავლესობა კამოყოფილია ქართული ოცნების მიერ წარმოებულ პტაგმატული და რაციონალური პოლიტიკით, რომელიც ცდილობს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებით დააბალანსოს.


**Q9: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ ახალი მთავრობის მუშაობას პირველი ასი დღის განმავლობაში (2016 წლის ნოემბრიდან-2017 წლის იანვრამდე) საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ?**




სიტუაცია სრულიად საპირისპოა დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომელიც, ექსპერტებს თუ დავუჯერებთ, ეკონომიკასთან ერთად ახალი ქართული მთავრობის აქილევსის ქუსლად რჩება. გამოკითხული რესპონდენტები არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის მიმართულებით, ეკონომიკის მსგავსად, მეტწილად უარყოფითად აფასებენ (გრ. 10). სურათი

კიდევ უფრო მძიმდება კონკრეტულ თემებთან მიმართებაში. ქართული ოცნების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მედია პლურალიზმთან მიმართებაში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან უარყოფითად აფასებს (გრ. 11). რაც ასევე საგანგაშოა, პოლიტიკურ დამკვირვებელთა დიდი ნაწილი სკეპტიკურადაა განწყობილი საქართველოს მომავალი დემოკრატიული განვითარების მიმართ. კერძოდ, გამოკითხულთა უმრავლესობა არ მოელოს, რომ ქართული ოცნება უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებას მოახერხებს (გრ. 12).


*Q 10: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ ახალი მთავრობის მუშაობას პირველი ასი დღის განმავლობაში (2016 წლის ნოემბრიდან-2017 წლის იანვრამდე) კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის მიმართულებით (კონსტიტუციურ ცვლილებებზე მუშაობა, მედია პლურალიზმი და ადამიანის უფლებები)?*



*Q 11: სკალაზე 1-დან (უარესი) 10-მდე (საუკეთესო), როგორ შეაფასებთ ახალი მთავრობის მუშაობას პირველი ასი დღის განმავლობაში (2016 წლის ნოემბრიდან-2017 წლის იანვრამდე) მედია პლურალიზმთან დაკავშირებით (საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ხელმძღვანელის არჩევა, კერძო ტელევიზიების გაერთიანება, რუსთავი2-ის საკითხი)?*



*Q 12: არჩევნებიდან პირველი 100 დღის განმავლობაში გაკეთებული განცხადებებიდან და მოქმედებებიდან გამომდინარე, სკალაზე 1-დან (ნაკლებ სავარაუდო) 10-მდე (მეტად სავარაუდო) რამდენად მოსალოდნელია ქართული ოცნების მხრიდან უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება?*



დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ ექსპერტთა მოსაზრებების უმრავლესობა დიდწილად თანხვედრაშია საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ წარდგენილ 100 დღის ანგარიშის შედეგებთან. ისევე როგორც GIP-ის ანგარიშის ავტორები, ახალი მთავრობის ექსპერტთა უმრავლესობაც მთავარ გამოწვევებს ეკონომიკისა და დემოკრატიის სფეროებში ხედავს, ხოლო საგარეო პოლიტიკა, მიუხედავად ბევრი პრობლემური საკითხისა, ნაკლებად პოლარიზებულ სფეროდ რჩება. ქართული ოცნების ინიციატივები სოციალური პოლიტიკის სფეროში ექსპერტთა მიერ ნეიტრალურად ფასდება, გამოკითხული რესპონდენტები ნაკლებად ოპტიმისტურად უყურებენ სოციალური პროგრამების გრძელვადიანი მდგრადობის პერსპექტივებს. მართლაც, ისევე როგორც GIP-ის ანგარიშშიც არის აღნიშნული, მიუხედავად პოზიტიური სოციალური ინიციატივებისა, მათი გრძელვადიანი მდგრადობის შენარჩუნება მხოლოდ სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის პირობებში იქნება შეუძლებელი.

## საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური  
ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს  
საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული  
საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის  
პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და  
ადვოკატირების გზით.

